საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ანგარიში
(2017-2018)

მარიამ მაისურაძე • თამარ ჩხიტუნიძე

29 ოქტომბერი, 2019

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგის პერიოდი - 2017-2018 წლები

მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები - IDFI, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ და ასოციაცია „დეა“

სპეციალურად მონიტორინგისთვის შემუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები - აქტივობებისა და ამოცანების შესრულების გაზომვის მიზნით

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ამოცანებისა და ღონისძიებების შეფასების სტატუსი:

- სრულად შესრულდა
- მეტწილად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

ამოცანებისა და ღონისძიებების შესრულების პროგრესი - თითოეული ინდიკატორისთვის მინიჭებული ქულების შესაბამისად (0-100%)

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

- **პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება** - დაინტერესებული პირები არასრულყოფილად იყვნენ ჩართული

- **პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ადეკვატურობა** - ითვალისწინებს ყველა იმ მნიშვნელოვან გამოწვევას, რაც მათი შემუშავების დროს პროკურატურასთან დაკავშირებით იდგა

- **პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ადეკვატურობა** - მოგვიანებით დაწყებული და განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმები პროკურატურის სტრატეგიულ დოკუმენტებში არ მოხვდა

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

- **პოლიტიკის დოკუმენტების საჯაროობა -** პროკურატურის სამოქმედო გეგმა არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი

- **პოლიტიკის დოკუმენტების განახლება -** მიმდინარე გამოწვევების და რეფორმების საპასუხოდ სამოქმედო გეგმის და სტრატეგიის განახლება არ ხდება

- **მონიტორინგის მექანიზმი -** პროკურატურის სამოქმედო გეგმაში ინდიკატორები არ არის განსაზღვრული და არ არსებობს მისი შესრულების მონიტორინგის მექანიზმი

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევადობა - ზოგიერთი მიზნის/ამოცანის მიღწევისთვის არასაკმარისი და არაამბიციური ღონისძიებებია განსაზღვრული

პროკურატურის სამოქმედო გეგმის შესაბამისობა ზოგად პოლიტიკასთან - სხვადასხვა სექტორულ სამოქმედო გეგმასა და პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებებს შორის მნიშვნელოვანი აცდენაა

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

პროკურატურის სამოქმედო გეგმის სტრუქტურული გამართულობა -

- პროკურატურის სამოქმედო გეგმაში მიზნისა და ამოცანის ტერმინები აღრეულია
- პროკურატურის სამოქმედო გეგმაში გვხვდება არასაკმარისად კონკრეტული და არაგაზომვადი ამოცანები
- პროკურატურის სამოქმედო გეგმა გადატვირთულია ნაკლებ მნიშვნელოვანი, დროში გაწელილი ღონისძიებებით

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის შედეგები 2017



პროკურატურის სამოქმედო გეგმით 2017 წელს გათვალისწინებული 127 ღონისძიებიდან, სრულად შესრულებულია 87, მეტწილად შესრულებულია 20, ნაწილობრივ შესრულებულია 15, ხოლო შეუსრულებელია 5 ღონისძიება.

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის შედეგები 2017

- კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობა
- სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობა
- მედიასთან კომუნიკაციის პოლიტიკა
- მოქალაქეებთან კომუნიკაცია

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის შედეგები 2018



პროკურატურის სამოქმედო გეგმით 2018 წელს გათვალისწინებული 119 ღონისძიებიდან, სრულად შესრულებულია 65, მეტწილად შესრულებულია 11, ნაწილობრივ შესრულებულია 11, ხოლო შეუსრულებელია 32 ღონისძიება.

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის შედეგები 2018

- კოლეგიური ორგანოების როლი
- თანამშრომელთა როტაციის სისტემა
- მთავარი პროკურორის არჩევის წესი
- თანამშრომელთა შერჩევისა და დაწინაურების კრიტერიუმები და პროცედურები
- თანამშრომლების შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემა (E-transmission)
- ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემა

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის მიზნების/ამოცანების შესრულების მონიტორინგის შუალედური შედეგები



პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 10 ამოცანიდან ერთი სრულად შესრულებულად ჩაითვალა, შვიდი მეტწილად შესრულებულია, ხოლო ნაწილობრივ შესრულებულია ორი ამოცანა

სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები

- გენერალური პროკურორის უფლებამოსილების შემცირება კოლეგიური ორგანოების უფლებამოსილების გაზრდის ხარჯზე
- სამსახურში აყვანისა და დაწინაურების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა
- პროკურატურაში დისციპლინური წარმოების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები

- პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა
- განსაკუთრებით რთულ/პრობლემურ საქმეებზე (კიბერდანაშაული, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულები და ა.შ.) მომუშავე სპეციალიზებული პროკურორები
- წამებისა და არასათანადო მოპყრობის, აგრეთვე სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება

რეკომენდაციები

- პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფით
- პროკურატურის თანამშრომლებისთვის უწყების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გაცნობა და საქმიანობის მათზე დაყრდნობით განხორციელება
- პროკურატურის სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად სამოქმედო გეგმით საკმარისი და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გათვალისწინება

რეკომენდაციები

- პროკურატურის სამოქმედო გეგმის ტექნიკური გამართულობა:
  - გაზომვადი ამოცანები და ღონისძიებები
  - ამოცანებისა და ღონისძიებების შედეგების ინდიკატორები
  - საბაზისო, შუალედური და სამიზნე მაჩვენებლები
  - მიზნისა და ამოცანის ტერმინების არსებული სტანდარტების შესაბამისად გამიჯვნა
- პროკურატურის სამოქმედო გეგმის იმ სექტორულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებთან თანხვედრაში მოყვანა, რომლებიც ითვალისწინებს პროკურატურის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს
- პროკურატურის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა

რეკომენდაციები

დამატებითი ზომების მიღება საჭიროა შემდეგი მიმართულებებით:

- კოლეგიური ორგანოების უფლებამოსილების გაზრდა
- პროკურორების სამსახურში აყვანისა და დაწინაურების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა
- პროკურატურაში დისციპლინური წარმოების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა
- პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილი მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება
- განსაკუთრებით რთულ/პრობლემურ საქმეებზე (კიბერდანაშაული, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულები და ა.შ.) მხოლოდ ან უპირატესად სპეციალიზებული პროკურორების მუშაობის უზრუნველყოფა
- წამებისა და არასათანადო მოპყრობის, აგრეთვე სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

მადლობა ყურადღებისთვის!

კითხვები